186
1978
ეროვნული ბიბლიოთეკა
31

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი — აგვისტო

1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4056

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1978 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

51. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის სამსახურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

52. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 20 მარტის № 211 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

63. სოფლის მეურნეობის ტვირთის გადაზიდვის სამუშაოებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

54. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

55. საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო დაცვის დამატებითი სიის დამტკიცების შესახებ.

56. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასოფლო-სამეურნეო წყალსადენებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ.

57. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 152 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

58. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების დებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

59. საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს ოჩამჩირის ეთერზეთოვანი კულტურების საწარმოო აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ.

60. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის სპეციალიზებული ექსპერიმენტული ლაბორატორიის ამავე სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

61. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში საქართველოს სსრ კანონმდებლობის მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

62. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების — საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის დაარსების შესახებ.

63. საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

64. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) მოქმედი წესდების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 51 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის სამსახურის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საიჯარო წესით შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, შეიცვალა სოფლად მშენებლობის ხასიათი რთული ტექნოლოგიური მოწყობილობითა და ავტომატიკით აღჭურვილი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, სასათბურე კომბინატებისა და სხვა ობიექტების შექმნასთან დაკავშირებით. გაიზარდა სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრე და ამაღლდა მშენებლობის ტექნიკური დონე.

ამასთანავე სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობის შემკვეთთა მუშაობის ორგანიზაცია არ შეესაბამება გაზრდილ მოცულობას და სასოფლო მშენებლობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემკვეთთა მრავალრიცხოვნობა (600-ზე მეტი მეურნეობა) და მეურნეობებში მშენებელთა კვალიფიციური კადრების უყოლობა უარყოფითად მოქმედებს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებაზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, მოწყობილობითა და საკომპლექტებელი მასალებით მშენებლობათა დროულად უზრუნველყოფაზე, აფერხებს კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამოქმედებელ და უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე და ვერ უზრუნველყოფს კვალიფიციურ ტექნიკურ ზედამხედველობას მშენებლობის მიმდინარეობისა და ხარისხისადმი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის სამსახურის სრულყოფის, მშენებლობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერების, მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადების დაცვის, ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, დაფინანსებით, შემკვეთის მიერ მისაწოდებელი მოწყობილობითა და ნაკეთობებით მშენებარე ობიექტების დროულად უზრუნველყოფის, აგრეთვე მშენებლობაში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას 1978 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან სამეურნეო ანგარიშზე მშენებარე საწარმოთა ორი

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული დირექცია: მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობის — საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვთან“ და ყველა დანარჩენი მშენებარე საწარმოსათვის — უშუალოდ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, იმ ვარაუდით, რომ მათი შენახვა მოხდეს მშენებარე საწარმოთა დირექციის და ტექნიკური ზედამხედველობის შესანახად ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული ანარიცხების ხარჯზე, სამინისტროსათვის 1978 წელს დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

2. დაეკისროთ აღნიშნულ დირექციებს·

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მშენებლობებზე შემკვეთის ფუნქციების შესრულება, რაც გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებათა წესებით, მათ შორის ცენტრალიზებული ანგარიშსწორება შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოებისათვის, აგრეთვე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება მშენებარე მსხვილი სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკებისადმი;

— ობიექტების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და დასამტკიცებლად მომზადების ორგანიზაცია, მათ შორის სამეურნეო წესით განსახორციელებელი მშენებლობისათვის;

— მშენებარე, გასაფართოებელი და სარეკონსტრუქციო ობიექტების დროულად უზრუნველყოფა ტექნოლოგიური მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, კაბელის პროდუქციით და სხვა ნაკეთობებითა და მასალებით, რომლებითაც უზრუნველყოფა შემკვეთს ეკისრება.

3. დაევალოთ რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებს გაითვალისწინონ დადგენილი წესით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ობიექტების ყველა ხარჯთაღრიცხვაში სახსრები მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციებისა და მათი მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის შესანახად.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოახდინოს მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციების შესანახად სამეურნეობათაშორისო მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული სახსრების ცენტრალიზაცია.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციის (ერთიანი შემკვეთის სამსახურის) დებულება და სტრუქტურა.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაითვალისწინონ 1978 წლის განაწილების გეგმებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნილება ახალგაზრდა სპეციალისტებზე: ინჟინერ-მშენებლებზე, მექანიზატორებსა და ელექტრიკოსებზე.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამონახოს შესაძლებლობა და გამოყოს ქალაქ თბილისში 1 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სადგომი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციების მოსათავსებლად.

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ჭითანავამ განიხილოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექციისა და საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვთან“ არსებული მშენებარე საწარმოთა დირექციის ურთიერთობის საკითხი და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის ბოლომდე.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილონ საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტის“ შემდგომი უწყებრივი დაქვემდებარების საკითხი და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**Ზ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ.** |

ქ. თბილისი, 1978 წ. 11 ივლისი, № 472

## 52 ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1978 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ № 211 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„სახელმწიფო სახსრებით კოლმეურნეობებში განსახორციელებელ სამელიორაციო სამუშაოთა დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 20 მარტის № 211 დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „საქართველოს სსრ ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აღმავლობის ზომების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილების მე-11 პუნქტის პირველი აბზაცის ის ნაწილი, რომელიც შეეხება დახურული დრენაჟის, ღია შინასამეურნეო საშრობი ქსელის მშენებლობასა და გადაკეთებას და კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობათა მიწებზე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში (რომლებიც გამოიყოფა საოპერაციო ხარჯებისათვის) მთელი ხარჯების 85 პროცენტის ოდენობით;

ბ) „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 376 დადგენილების მე-6 პუნქტის მეხუთე აბზაცში სიტყვები:

„სოფლის მეურნეობის ორგანოებს — კოლმეურნეობებში სამეურნეო მშენებლობის გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის სამუშაოებისათვის, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნისათვის, ფერდობების დატერასებისათვის, კოლმეურნეობებში ეროზიისსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობისა და ტყის მოწყობის სამუშაოთა შესრულებისათვის, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესრულებისათვის";

გ) „საქართველოს სს რესპუბლიკაში საკვების წარმოების გადიდებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 26 დეკემბრის № 657 დადგენილების მე-4 პუნქტი.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 11 ივლისი, № 474

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

### 53 სოფლის მეურნეობის ტვირთის გადაზიდვის სამუშაოებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ამაღლების, მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესების, მექანიზატორთა კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 1 სექტემბრის № 820 დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმო-ორგანიზაციების, წყალთა მეურნეობისა და „საქსოფლტექნიკის“ საწარმოების მუშაკთა შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქმთავარწყალმშენის“ სამმართველოს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების წინადადება და მოყოლებული 1978 წლიდან სოფლის მეურნეობის ტვირთის გადაზიდვის სამუშაოებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად დაწესდეს:

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 10 ათასი მანეთი;

რაიონებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 3 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია თითოეულს 5 ათასი მანეთი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 6 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია თითოეულს 3 ათასი მანეთი;

„წყალმშენის" საწარმოებისათვის — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქმთავარწყალმშენის" სამმართველოსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 3 ათასი მანეთი;

წყალთა მეურნეობის საწარმოებისათვის — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 3 ათასი მანეთი;

„სოფლტექნიკის" საწარმოებისათვის — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა" და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 2 გარდამავალი წითელი დროშა და თითოეულს ფულადი პრემია 3 ათასი მანეთი;

კვების მრეწველობის საწარმოებისათვის — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 3 ათასი მანეთი.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ", საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქმთავარწყალმშენის" სამმართველომ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ სოფლის მეურნეობის ტვირთის გადაზიდვის სამუშაოებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაშლის პირობები, მისი შედეგების შეჯამების წესები და გამონახონ ფულადი პრემიების გაცემის წყარო.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ასიგნებათა გამოყოფა, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის ტვირთის გადაზიდვის სამუშაოებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატვირთო ავტომობილების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების (ოლქის), რაიონებისა და კოლმეურნეობების წასახალისებლად.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.** | საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1978 წ. 25 ივლისი, № 477

## 54 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის ტიპობრივ წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის 1978 წლის 26 მაისის № 132/165 ბრძანების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 აპრილის № 75 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოტოციკლები, მოტოროლერები, მოპედები, ფერადი ტელევიზორები, საყოფაცხოვრებო მაცივრები, ნავის მოტორები — თუ დამამზადებელი საწარმო ან საგარანტიო რემონტის სახელოსნო ტექნიკურად წესივრულ მდგომარეობაში არ მოიყვანს ამ ნაკეთობებს იმ დროიდან ორი კვირის ვადაში, რაც მყიდველისაგან მიღებულია განცხადება რემონტის საჭიროების შესახებ, აგრეთვე, თუ ორი რთული რემონტის შემდეგ ეს ნაკეთობანი კვლავ საჭიროებენ რემონტს.

მსუბუქი ავტომობილების გამოცვლა, მათი მფლობელების რეკლამაციათა განხილვა და დაკმაყოფილება ხდება მოსახლეობისათვის მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მოტოციკლების მიყიდვის წესების შესაბამისად, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1977 წლის 22 დეკემბრის № 256 ბრძანებით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 12 ივლისი, № 446

## 55 საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლების სახელმწიფო დაცვის დამატებითი სიის დამტკიცების შესახებ

რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს წინადადება და სახელმწიფო დაცვის სიაში დამატებით იქნეს ჩარიცხული რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის ძეგლები დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 19 ივლისი, № 467

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 19 ივლისის № 467
დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲐ

## საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა, რომლებზედაც ვრცელდება სახელმწიფო დაცვა

| ძეგლის სახელწოდება, ვის მიერაა გამოყენებული | თარიღი, ავტორი | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|
| 1. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (ყოფილი სახაზინო თეატრი). | 1880-1896 წ.წ. არქიტექტორი ვ. შტერნი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 25 |
| 2. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (ყოფილი საარტისტო საზოგადოების თეატრი). | 1901 წ. არქიტექტორები კ. ტატიშჩევი და ა. შიმკევიჩი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 17 |
| 3. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (ყოფილი ზუბალაშვილის სახალხო სახლი). | 1901-1909 წწ. | თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა № 8 |
| 4. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (ამიერკავკასიაში პირველი მუსიკალური სასწავლებლის შენობა). | 1901-1904 წწ. არქიტექტორი ა. შიმკევიჩი | თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 8 |
| 5. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის ოფიცერთა სახლი (ყოფილი „ტიფლისკი კრუჟოკი“). | 1910 წ. არქიტექტორი ლ. ჩისლიევი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 |
| 6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი (ყოფილი ქ. თბილისის მმართველობა). | 1882 წ. არქიტექტორი ვ. შტერნი | თბილისი, ლენინის მოედანი № 2 |



შეკ. 55

ეროვნული ბიბლიოთეკა


| ძეგლის სახელწოდება, ვის მიერაა გამოყენებული | თარიღი, ავტორი | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|
| 7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია). | 1900-1906 წწ. არქიტექტორი ს. კლდიაშვილი | თბილისი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1 |
| 8. თბილისის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა (ყოფილი „ვოლგა-კამის“ ბანკი). | 1910 წ. არქიტექტორი ნ. კოსიაკოვი | თბილისი, კეცხოველის ქ. № 5 |
| 9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო (ყოფილი სახელმწიფო ბანკი). | 1910 წ. | თბილისი, კეცხოველის ქ. № 7 |
| 10. „სამტრესტის“ ღვინის ქარხანა № 1 (ყოფილი საუფლისწულო მამულის შენობა). | 1890 წ. არქიტექტორი ა. შიმკევიჩი | თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 1 |
| 11. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო (ყოფილი სასამართლოს შენობა). | XIX ს. 90-იანი წლები არქიტექტორი ა. შიმკევიჩი | თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32 |
| 12. წმინდა გიორგის ეკლესია | XIX ს. 90-იანი წლები | სოფ. არაგვი, ორჯონიკიძის რაიონი |
| 13. საქართველოს მწერალთა კავშირი (ყოფილი საცხოვრებელი სახლი). | XX ს. დასაწყისი | თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13 |
| 14. საქართველოს პროფსაბჭო (ყოფილი სასტუმროს შენობა, საცხოვრებელი სახლი) | 1898 წ. არქიტექტორი კ. ტატიშჩევი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 30 |
| 15. საქართველოს პროფსაბჭო (ყოფილი საცხოვრებელი სახლი). | 1897 წ. არქიტექტორი პ. შტერნი | თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19 |
| 16. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი (ყოფილი მეფის ნაცვლის კანცელარია). | 1910 წ. | თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8 |
| 17. საქართველოს კპ თბილისის კომიტეტი (ყოფილი კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი) | 1894 წ. არქიტექტორი რ. გედიკე | თბილისი, ჩიტაძის ქ. № 6 |
| 18. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო (ყოფილი ეგზარხოსის სასახლე). | XX ს. დასაწყისი | თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი № 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ძეგლის სახელწოდება, ვის მიერაა გამოყენებული | თარიღი, ავტორი | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|
| 19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შენობა (ყოფილი ქარვასლა) | XIX საუკუნე | თბილისი, ლესელიძის ქ. № 36 |
| 20. კიროვის რაიონის გოგირდის აბანოები (ე. წ. ჭრელი აბანო). | XIX საუკუნე | თბილისი, აბანოს ქუჩა № 2 |
| 21. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმი და კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება (ყოფილი ქარვასლა) | XIX საუკუნე | თბილისი, სიონის ქუჩა № 13 |
| 22. სასტუმრო „თბილისი" (ყოფილი სასტუმრო მაჟესტიკი). | 1910 წ. არქიტექტორი გ. ტერ-მიქელოვი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 13 |
| 23. საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება (ყოფილი საცხოვრებელი სახლი) | XIX ს. 50-იანი წწ. | თბილისი, ათონელის ქ. № 25 |
| 24. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა (სახელმწიფო ბანკი) | 1910 წ. | თბილისი, კიროვის ქ. № 3/5 |
| 25. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი (ყოფილი მეფის ნაცვლის. ბარიატინსკის სასახლე) | XIX საუკუნე | თბილისი, ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8 |
| 26. ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ყოფილი სამხედრო ტაძარი) | 1932 წ. არქიტექტორი კ. მელიქ-ფაშაევი | ქ. ფოთი, ლენინის მოედანი |
| 27. „ზაჰესის" საგენერატორო სადგური | 1922-1927 წწ. არქიტექტორი ა. კალგინი | ზემო ავჭალა |
| 28. საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი | 1928 წ. არქიტექტორი ნ. სევეროვი | თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 3 |



შეკ. 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ძეგლის სახელწოდება, ვის მიერაა გამოყენებული | თარიღი, ავტორი | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|
| 29. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა | 1929 წ. არქიტექტორი დ. ჩისლიევი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42 |
| 30. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი | 1938-1953 წწ. არქიტექტორები ვ. კოკორინი და გ. ლეჟავა | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 8 |
| 31. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი | 1938 წ. არქიტექტორი ა. შჩუსევი | თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 29 |
| 32. თბილისის ცირკი | 1940 წ. არქიტექტორები: მ. ნეპრინცევი, ს. სატუნელი და ვ. ურუშაძე | თბილისი, გმირთა მოედანი |
| 33. სასტუმრო „ივერია“ | 1967 წ. არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი | თბილისი, ს. ინაშვილის ქუჩა № 4 |
| 34. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა | 1930 წ. არქიტექტორი ნ. სევეროვი | თბილისი, ჩიტაძის ქუჩა № 2 |
| 35. თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგური | 1938 წ. არქიტექტორი ზ. ქურდიანი | თბილისი, მთაწმინდა |
| 36. სასტუმრო „ინტურისტი“ | 1939 წ. არქიტექტორი ა. შჩუსევი | ქ. ბათუმი |
| 37. აფხაზეთის ასსრ მთავრობის სახლი | 1939 წ. არქიტექტორი ვ. შჩუკო | ქ. სოხუმი, ლენინის მოედანი № 2 |
| 38. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლი | 1923 წ. | ქ. თბილისი, ოქტომბრის ქუჩა № 26 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 56 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასოფლო-სამეურნეო წყალსადენებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასოფლო-სამეურნეო წყალსადენების სარგებლობის თანდართული წესი.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 ივნისის № 381 დადგენილების მე-7 პუნქტით დამტკიცებული საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებული სასოფლო-სამეურნეო წყალსადენებით სარგებლობის დროებითი წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 21 ივლისი, № 468

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 21 ივლისის № 468
დადგენილებით

### საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასოფლო-სამეურნეო წყალსადენებით სარგებლობის წესი

#### I. საერთო პირობები

1. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო წყალსადენების ძირითადი დანიშნულებაა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების, მეცხოველეობის კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკებისა და ფერმების, სოფლის სხვა საწარმოებისა და მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება.

2. სასოფლო-სამეურნეო წყალსადენების ექსპლუატაციას ახორციელებენ სარაიონო სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სასოფლო-სამეურნეო წყალსადენებით სარგებლობის წესი ვრცელდება ყველა წყალმომხმარებელზე, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

4. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოებსა (წყალმიმწოდებელსა) და წყლის მომხმარებელთა (აბონენტთა) შორის ურთიერთ დამოკიდებულება რეგულირდება წინამდებარე წესით.

5. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოები კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებისათვის, მეცხოველეობის კომპლექსებისათვის, მეფრინველეობის ფაბრიკებისა და ფერმებისათვის, სოფლის სხვა საწარმოებისათვის წყლის მიწოდებას აწარმოებენ ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სოფლის მოსახლეობისათვის — წყალმოხმარების დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

6. სასოფლო-სამეურნეო წყალსადენების ნაგებობათა სანიტარიული დაცვის ზონებისა და სასმელი წყლის სახელმწიფო სტანდარტის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოებს. ისინი უზრუნველყოფენ წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზების სისტემატურ ჩატარებას.

7. წყლით სარგებლობის ტარიფებს, სათანადო გაანგარიშების საფუძველზე, ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

8. წინამდებარე წესების დარღვევაზე, შეუსრულებლობაზე ან რაიმე გადახვევაზე საჩივრებს განიხილავს შესაბამისი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მთავარი სამმართველო.

## II. წყლის მიწოდება და აღრიცხვა

1. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოები ახორციელებენ წყალმომარაგების წყაროდან წყლის აღებას, მის გაუსნებოვნებას, ტრანსპორტირებას და მიწოდებას სოფლის დასახლებულ უბნებში საერთო წყალდამხარჯ ონკანებზე, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი სექტორისათვის და ამ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — შიდა საუბნო ქსელებიდან წყლის აღების წერტილამდე.

2. სასოფლო-სამეურნეო წყალსადენის მაგისტრალზე ახალი აბონენტის მიერთებას სათანადო ღირებულების გადახდევინებით აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველო.

3. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოები კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სოფლის სხვა საწარმოებთან წყლის რაოდენობის აღრიცხვას აწარმოებენ წყალსაზომებით და რეზერვუარების მოცულობით, ხოლო მოსახლეობასთან — წყალმოხმარების ნორმების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წყალმზომი იდგმება წყალგამყოფის ყველა წერტილზე წყალმიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ აბონენტის ხარჯზე, ხოლო შეკეთებას და შეცვლას აწარმოებს წყალმიმწოდებელი ორგანიზაცია თავის ხარჯზე.

5. წყალმზომისათვის განკუთვნილი სათავსო მისაწვდომი უნდა იყოს შემოწმებისა და მაჩვენებლის აღებისათვის, იგი კარგად უნდა იყოს განათებული და საკმარისად დათბუნებული.

6. წყალმზომის დაყენების ადგილი დაცული უნდა იყოს უცხო პირთაგან, გრუნტის წყლებისაგან, ნაგვისა და ჭუჭყის მოხვედრისა და მექანიკური დაზიანებისაგან.

7. წყლმზომის მორიგ შემოწმებას ან შეკეთების შემდეგ საექსპლუატაციოდ გადაცემას ახორციელებენ საზომი ხელსაწყოების გამოსაცდელი სადგურები, წყალმზომს, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტის ინსტრუქციის მოთხოვნას, ნდობით აღჭურვილი პირები უკეთებენ ლუქს და აღინიშნება შემოწმების წელი და თვე, წყალმზომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ინსტრუქციის მოთხოვნას — საექსპლუატაციოდ არ გადაიცემა.

8. წყალმზომის მუშაობის სისწორეს ამოწმებენ სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოები 2 წელიწადში ერთხელ აბონენტთან ერთად, აგრეთვე სხვა საჭირო შემთხვევებშიც.

9. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოების გარდა არავის არა აქვს უფლება შეცვალოს წყალმზომი ან შეასრულოს მასთან დაკავშირებული რაიმე სამუშაო.

10. წყლის ხარჯვის აღრიცხვაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, აბონენტს უფლება აქვს დააყენოს საკონტროლო წყალსაზომი თავის ხარჯზე. აბონენტის მიერ შიგა აღრიცხვისათვის დაყენებულ ასეთ წყალმზომებს სამმართველო არ ემსახურება.

11. წყალმზომის დროებით მოხსნისას, თუ გამოირკვევა, რომ იგი არასწორ ჩვენებას იძლევა, მოხმარებული წყლის რაოდენობა დადგინდება გასული ორი თვის საშუალო სადღეღამისო ხარჯვის მიხედვით. განსაზღვრის ეს წესი ვრცელდება ახალი წყალმზომის დაყენებამდეც.

### III. ქუჩისა და ეზოს ონკანები

1. ქუჩის ონკანები ეწყობა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, მისი დაყენების ადგილს განსაზღვრავს წყალმიმწოდებელი ორგანიზაცია და უთანხმებს სასოფლო საბჭოს აღმასკომს. მომსახურების რადიუსი 100 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

2. ქუჩის წყალდასახარჯი ონკანები წყალსაწრეტი არხებით ეწყობა აბონენტის ხარჯზე წყალმიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ.

3. განცხადებებს ეზოს ონკანების დაყენების შესახებ განიხილავს სასოფლო საბჭოს აღმასკომი წყალმიმწოდებელ ორგანიზაციასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ქუჩის წყალდამხარჯი ონკანიდან აკრძალულია ყოველგვარი ნივთების, ინვენტარისა და მანქანების რეცხვა.

5. ქუჩის წყალსაღები ონკანების მოვლა-პატრონობას და შეკეთებას ახორციელებენ წყალმიმწოდებელი ორგანიზაციები, ხოლო ეზოს ონკანებისას — აბონენტები.

### IV. ანგარიშების წარდგენისა და განაღდების წესი

1. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველო წყალმომხმარებელ ორგანიზაციასთან ერთად თვეში ერთხელ წყალმზომის ჩვენების ან რეზერვუარის მოცულობის საფუძველზე ადგენს აქტს დახარჯული წყლის შესახებ, რომლის საფუძველზე წარუდგენს ანგარიშს მომხმარებელს.

სოფლის მოსახლეობას წყალმოხმარების ნორმებისა და დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად კვარტალში ერთხელ შეაქვთ შემნახველ სალაროებში წყალმიმწოდებელი ორგანიზაციის ანგარიშზე წყლის საფასური სათანადო ქვითრის მიხედვით.

2. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის სხვა საწარმოები წყლის ხარჯვის ანგარიშებს ანაღდებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში გადარიცხვით.

3. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოები წყალსადენების ქსელზე ახალი აბონენტის მიერთებას აწარმოებენ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მოსახლეობასთან — შემნახველ სალაროებში ერთიანი წარმოებისა და განფასების მიხედვით საფასურის შეტანის შემდეგ.

### V. ანგარიშსწორება და ანგარიშების განაღდების ვადა

1. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სოფლის სხვა საწარმოებმა წყლის ხარჯვის ანგარიშსწორება უნდა მოახდინონ 6 დღის, ხოლო მოსახლეობამ — 10 დღის ვადაში ანგარიშის წარდგენიდან.

2. ვადის გადაცილების შემთხვევაში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საწარმო-დაწესებულებები იხდიან საურავს ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,05 პროცენტის ოდენობით, ხოლო მოსახლეობა — არსებული საგადასახადო საურავის შესაბამისად.

3. მიუხედავად საურავის ამოღების უფლებისა წყალმიმწოდებელ ორგანიზაციას რჩება უფლება შეუწყვიტოს წყლის მიწოდება აბონენტს 10 დღის განმავლობაში წყლის საფასურის გადაუხდელობისათვის დავალიანების დაფარვამდე. აბონენტს ეს ორი დღით ადრე უნდა ეცნობოს.

4. წყალმიმწოდებელი ორგანიზაცია უფლებამოსილია ქუჩის წყალდამხარჯი ონკანით მოსარგებლე მოსახლეობას სასოფლო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით შეუწყვიტოს წყლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ გადაიხდის დახარჯული წყლის საფასურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. წყლის მიწოდების განახლება წარმოებს დავალიანების სრული და-ფარვის შემდეგ.

6. ხანძრის ჩასაქრობად მიწოდებული წყლის საფასურის განაღდება არ ხდება.

## VI. პრეტენზიები წარდგენილი ანგარიშის გამო და მისი განაღდების წესი

1. წყალმომხმარებელმა (აბონენტმა) პრეტენზიები წარდგენილ ანგარიშზე წერილობით უნდა აცნობოს სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოს არა უგვიანეს 5 დღისა ანგარიშის (ქვითრის) მიღებიდან.

2. პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში წყალმომხმარებელი არ თავისუფლდება გადასახადისაგან და იგი მან სრულად უნდა შეიტანოს დადგენილ ვადაში.

3. წარდგენილ პრეტენზიების მიხედვით შემჩნეული მეტობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოს ანგარიშზე იყო ჩარიცხული (შეტანილი), ჩაითვლება მომავალი თვის ანგარიშში.

4. წყლით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს წყალმიმწოდებელ ორგანიზაციას 10 დღით ადრე და მოახდინოს სრული ანგარიშსწორება.

## VII. წყალსადენის დაცვის საშუალებები

1. სასოფლო-სამეურნეო წყალსადენების ნაგებობათა სანიტარიული დაცვის პირველი ზონა უნდა იყოს შემოკავებული და დაცული უცხო პირთა შესვლისაგან. ზონებში არ იქნეს შეტანილი და გამოყენებული შხამქიმიკატები, ორგანული და მინერალური სასუქები.

2. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველო ვალდებულია მოუაროს წყალსადენის გარე ქსელს, უზრუნველყოს გაყინვისაგან წყალსადენის კვანძების დაცვა. გაწმინდოს ჭის სახურავები თოვლისაგან, თვალყური ადევნოს დამცველ სარქველებს, დამცველ ლუქსა და არმატურას.

3. წყალმომხმარებელ ორგანიზაციებს (აბონენტებს) სასტიკად ეკრძალებათ წყალსადენის არმატურის რეგულირება, წყალსადენის სისტემაზე თვითნებური სამუშაოების ჩატარება, სასმელი წყლის სარწყავად და არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

4. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის სხვა საწარმოები და ორგანიზაციები მოსახლეობასთან ერთად ვალდებული არიან წყალსადენის სისტემის უწესივრობის შემთხვევა აცნობოს წყალმიმწოდებელს.

5. ინფექციური დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით წყალსადენების განსხვისების ზონაში აკრძალულია:

ა) დროებითი და მუდმივი ნაგებობების მშენებლობა;

ბ) წყალსადენის მაგისტრალიდან 60 მეტრზე ახლოს ტუალეტის, სამრეცხაოების, მეცხოველობის ფერმების მშენებლობა და ნაკელის დაყრა;

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) 30 მეტრზე ახლოს ნაგვის დაყრა, სასაფლაოების ან სასაკლაოების მოწყობა;

დ) 100 მეტრზე ახლოს სასროლი მოედნის მოწყობა ან აფეთქების სამუშაოების წარმოება.

## VIII. წყლის მიწოდების შეწყვეტა

1. წყალმიმწოდებელ ორგანიზაციას შეუძლია გაუფრთხილებლად შეუწყვიტოს წყლის მიწოდება აბონენტს და ამისათვის იგი არავითარ მატერიალურ პასუხისმგებლობას არ იღებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) დასახლების რომელიმე უბანში ან ორგანიზაციაში მომხდარი ხანძრის შემთხვევის დროს;

ბ) სატუმბო სადგურებში ელექტროენერგიის შეწყვეტისას;

გ) წყალსადენის სისტემაში მომხდარი ავარიების დროს;

დ) სტიქიური უბედურების დროს.

2. სამმართველოს უფლება აქვს აბონენტს შეუწყვიტოს წყალი იმ შემთხვევაში თუ იგი:

ა) არ გადაიხდის წყლის ღირებულებას;

ბ) უარს იტყვის მიაწოდოს ცნობები წყლის ხარჯვის შესახებ სამმართველოს წარმომადგენელს;

გ) არღვევს წყლის სარგებლობის და დაცვის წესებს;

დ) თვითნებურად მიაერთებს მილს წყალსადენის ქსელთან.

3. წყალსადენის სისტემებზე სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას წყალმიმწოდებელ ორგანიზაციას შეუძლია შეუწყვიტოს წყლის მიწოდება აბონენტს არა უმეტეს 24 საათისა, აბონენტის წინასწარ, 2 დღით ადრე გაფრთხილების შემდეგ.

4. სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველო ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები, რომ წყლის მიწოდების შეწყვეტის ხანგრძლივობა იყოს რაც შეიძლება მინიმალური.

5. წყლით სარგებლობის წესების დამრღვევებს ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

## 57 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 152 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 152 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 თებერვლის № 80 დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მომუშავეების უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ოქტომბრის № 564 დადგენილება „სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, სახალხო თვითმოქმედი თეატრებისა და კოლექტივების შტატის მუშაკების უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 21 ივლისი, № 470

## 58 საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაზღვევის საუბნო ინსპექციების შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 იანვრის № 76 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების დებულებაში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752, 1969 წლის 26 სექტემბრის № 567 და 1977 წლის 13 აპრილის № 246 დადგენილებებით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 5 მარტის № 253 განკარგულებით შეტანილ შემდეგ ცვლილებებთან და დამატებებთან ერთად) შემდეგი ცვლილებანი:

1. დებულების II განაყოფს დაემატოს ასეთი შინაარსის $23^1$ პუნქტი:

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

„23[1]. რაიონის, ქალაქის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის შემადგენლობაში სტრუქტურულ ქვედანაყოფებად შედიან სახელმწიფო დაზღვევის საუბნო ინსპექციები“.

2. 24-ე პუნქტს სიტყვების „სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „აგრეთვე საუბნო ინსპექციას“ — შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 26 ივლისი, № 481

## 59 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ოჩამჩირის ეთერზეთოვანი კულტურების საწარმოო აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ოჩამჩირის ეთერზეთოვანი კულტურების საწარმოო აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ და შეიქმნას მის ბაზაზე ორი დამოუკიდებელი საწარმოო ერთეული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“ ტამიშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა და მოქვის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 მარტის № 190 დადგენილება „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ოჩამჩირის ეთერზეთოვანი კულტურების საწარმოო აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების შექმნის შესახებ“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 27 ივლისი, № 483

ეროვნული ბიბლიოთეკა

**60** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის სპეციალიზებული ექსპერიმენტული ლაბორატორიის ამავე სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის სპეციალიზებული ექსპერიმენტული ლაბორატორია შრომის გეგმითა და ზღვრული ასიგნებებითურთ გადაეცეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 9 აგვისტო, № 507

**61** სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში საქართველოს სსრ კანონმდებლობის მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ" საქართველოს სსრ 1978 წლის 15 აპრილის კანონით, „მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მომზადებისა და მიღებისათვის მუშაობის დამთავრების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 16 მაისის დადგენილების და „სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში საქართველოს სსრ კანონმდებლობის მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 26 ივნისის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში საქართველოს სსრ კანონმდებლობის მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის გეგმა.

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2 საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოამზადოს და წარმოადგინოს წინადადებანი:

— სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა მოყვანის შესახებ;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებებსა და განკარგულებებში, რომლებიც არსებითს ცვლილებებს არ საჭიროებენ, სსრ კავშირის კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან გამომდინარე საჭირო შესწორებებისა და ტერმინ-დასახელებათა დაზუსტებების შეტანის შესახებ;

— საქართველოს სსრ კონსტიტუციის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 7 აგვისტო, № 533

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 7 აგვისტოს № 533 დადგენილების დანართი

## გ ე გ მ ა

### სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში საქართველოს სსრ კანონმდებლობის მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციისა

**I. საქართველოს სსრ შესამუშავებელი კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტები:**

1. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

პროექტის შედგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ორგანოების განყოფილება.

**(1978** წლის ნოემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კანონი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.

პროექტის შედგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ორგანოების განყოფილება.

(1979 წლის აპრილი).

3. კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

პროექტს ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომისია.

(1978 წლის ნოემბერი).

4. კანონი საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) ჩატარების წესის შესახებ.

პროექტის შედგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ორგანოების განყოფილება.

(1983 წლის მაისი).

5. კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

პროექტს ამზადებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილება, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

(1980 წლის ნოემბერი).

6. კანონი ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ.

პროექტს ამზადებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილება, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

(1980 წლის ნოემბერი).

7. კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.

პროექტის შედგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

(1980 წლის მაისი).

8. საკანონმდებლო აქტი ამომრჩეველთა განაწესების განხილვისა და შესრულების წესის შესახებ.

პროექტის შედგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ორგანოების განყოფილება.

(1979 წლის მაისი).

9. საკანონმდებლო აქტი საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების შესახებ.

პროექტის შედგენაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ორგანოების განყოფილება და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

(1979 წლის აპრილი).

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

II. წინადადებანი საქართველოს სსრ შემდეგ მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ:

(შესრულების ვადა — 1978-1981 წლები იმ ვარაუდით, რომ წარმოდგენილ იქნეს მომზადების კვალობაზე)

1. საქართველოს სსრ კანონები რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ.

წინადადებებს ამზადებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა ორგანოების განყოფილება და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის, მიწის, წყლის, წიაღის კოდექსები, კანონები ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, ნოტარიატის შესახებ.

წინადადებებს ამზადებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და სხვა უწყებები და წარმოუდგენენ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი.

წინადადებებს ამზადებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დარგობრივი განყოფილებები.

4. სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების, ამხანაგური სასამართლოების, ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების დებულებები.

წინადადებებს ამზადებენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და კულტურის განყოფილება.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკითხების შეტანის წესის შესახებ.

წინადადებებს ამზადებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 62 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულებების — საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის დაარსების შესახებ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1977 წლის 20 იანვრის № 50, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1977 წლის 27 სექტემბრის №-52 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1978 წლის 3 აპრილის № 99 დადგენილებების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულებების უფლებით საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია შეეფარდოს მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურების მეორე კატეგორიას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიას.

— საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფისა და საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამუშავება ხანგრძლივი პერსპექტივით;

— მინერალური, სათბობ-ენერგეტიკული, წყლის, მიწისა და ტყის რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამუშავება ბუნების დაცვის ამოცანების შესრულების გათვალისწინებით;

— ადგილობრივი რესურსების გამოყენებით რესპუბლიკის ცალკე ეკონომიკური რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესწავლა;

— ბუნებრივი რესურსების მარაგის მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზის მეცნიერული მეთოდების დამუშავება და მათი ეკონომიკური შეფასების მეთოდიკის სრულყოფა;

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის პერსონალური შემადგენლობა (დანართის თანახმად).

4. გამოეყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიისათვის დაფინანსება 1978 წლის მეორე ნახევარში 50,6 ათასი მანეთი, აქედან საშტატო პერსონალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელფასის ფონდი — 10,0 ათასი მანეთი, სამმართველო აპარატის შესანახი ზღვრული ასიგნებანი 5 საშტატო ერთეულისათვის — 6,65 ათასი მანეთი, აქედან ხელფასის ფონდი — 5,95 ათასი მანეთი; სამსახურებრივი მივლინება — 0,2 ათასი მანეთი, მსუბუქი ავტომობილების შენახვა — 3,0 ათასი მანეთი და სხვა ხარჯები 0,5 ათასი მანეთი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს:

— გამოჰყოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის შესანახად 15,7 ათასი მანეთი მისთვის 1978 წელს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის დებულება.

— შეიმუშაოს კომისიის 1979 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმა და წარუდგინოს იგი განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს 1978 წლის ნოემბერში;

— განიხილოს და დაამტკიცოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის სტრუქტურა და საშტატო განრიგი 30 საშტატო ერთეულზე.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა 1979 წლის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დამტკიცებისას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის სამეცნიერო თემატიკის დაფინანსება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 17 აგვისტო, № 537

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 17 აგვისტოს № 537 დადგენილების დანართი

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის პერსონალური შემადგენლობა

ა. ძიძიგური — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

ა. ბუხნიკაშვილი — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვ. მელქაძე — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ი. ავალიანი — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

მ. აფაქიძე — ჭიათურის მარგანეცის სამთამადნო კომბინატის უფროსი.

ბ. ბალავაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ი. ბალაშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი.

ი. ბუაჩიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის დირექტორი.

ბ. გაღელია — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

ა. გამხარაშვილი — საქართველოს სსრ სამთოტექზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. გამყრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

ი. გვერდწითელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ი. გოგიტიძე — საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ვ. გომელაური — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი.

ვ. გულისაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტყის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ა. გუნია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

ლ. გაბუნია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

თ. დავითაია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

ს. დურმიშიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ა. ვარდოშვილი — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

გ. ზარიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ზურაბიშვილი — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ფ. თავაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი.

რ. თევზაძე — საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" გენერალური დირექტორი.

გ. თვალჭრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

თ. თურმანიძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი საქართველოს სსრ ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს უფროსი.

ვ. კაჭარავა — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ნ. კეცხოველი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ო. კვიცარიძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ა. კიკნაველიძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ა. ლალიევი — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" მთავარი გეოლოგი.

ნ. ლანდია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

ე. მინდელი — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ც. მირცხულავა | — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. |
| ი. მიქელაძე | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე. |
| ი. მღებრიშვილი | — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საპროექტო ინსტიტუტის „საქჰიდროენერგოპროექტის" დირექტორი. |
| პ. ჟღენტი | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. |
| ნ. სანთელაძე | — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. |
| გ. სვანიძე | — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი. |
| ნ. სხირტლაძე | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე. |
| გ. ქობულია | — საქართველოს წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი. |
| ვ. ღვინჯილია | — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" უფროსი. |
| კ. ჩარკვიანი | — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. |
| გ. ჩოგოვაძე | — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. |

პარლამენტის ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| დ. ჩხეიძე | — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში. |
| ა. ცაგარელი | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი. |
| ე. ცისკარაშვილი | — პროფესორი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე. |
| გ. ციციშვილი | — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი. |
| უ. ცქვიტინიძე | — „საქმთავარენერგოს" უფროსი. |
| ნ. ცხაკაია | — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" გენერალური დირექტორი. |
| ნ. ჭითანავა | — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი. |
| თ. ჯანელიძე | — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი. |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 63 საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის წესის შესახებ, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს წარუდგინონ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მის მიერ დაწესებულ ვადებში, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებათა დროულად შესრულებას, შემდეგი მონაცემები საპროექტო წლის ბიუჯეტის მაჩვენებლების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებზე მყოფი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების შესაბამისად:

— შემოსავალ-გასავლის გაანგარიშებითი ბალანსების პროექტები და მათი შედგენისას დაზუსტებული ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები, აგრეთვე გაანგარიშებანი შემოსავალ-გასავლის ბალანსის, შემოსავლის გეგმების ცალკეული მუხლების მიხედვით;

— საბიუჯეტო დაწესებულებათა და ღონისძიებათა დასაფინანსებლად განკუთვნილი ასიგნებების გაანგარიშებანი და მაჩვენებლები ამ დაწესებულებათა ქსელის. შტატებისა და კონტინგენტების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს მათ მიერ წარდგენილი გაანგარიშებანი და საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს ისინი;

— დაუგზავნოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებული მითითებებისა და ფორმების შესაბამისად შემუშავებული (ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით) საკონტროლო ციფრები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებულ ვადებში.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა იმ შემთხვევაში, თუ აქვთ შენიშვნები მიღებული საკონტროლო ციფრების გამო, წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მის მიერ დაწესებულ ვადებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილოს ხსენებული შენიშვნები და შედეგების შესახებ აცნობოს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— საკონტროლო ციფრები შენიშვნების განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებათა გათვალისწინებით შეიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარდგენილ რესპუბლიკის მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში;

— შენიშვნები საკონტროლო ციფრების გამო, რომლებზეც მიღწეული არ არის შეთანხმება ფინანსთა სამინისტროში, გადმოსცეს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება და მისცენ სათანადო მითითებანი ქვემდგომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს საკონტროლო ციფრების საფუძველზე საპროექტო წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენის შესახებ, უზრუნველყონ დადგენილი წესით ბიუჯეტების თითოეული სახეობის მიხედვით შეტანილი ყველა ცვლილების სრული გათვალისწინება, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების შედგენა, განხილვა და დამტკიცება დასაგეგმი წლის დაწყებამდე.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შედგენისას განუხრელად იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

7. თანდართული დებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 აგვისტოს № 533 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 17 აგვისტო, № 543

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 17 აგვისტოს № 543 დადგენილებით

# დებულება

## საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის შესახებ

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტები დგება საკონტროლო ციფრების საფუძველზე, რომლებსაც აწესებენ:

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების პროექტებისათვის — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო;

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტებისათვის — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება;

— სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტებისა და შინასაქალაქო რაიონების ბიუჯეტების პროექტებისათვის — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი.

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით შეიმუშავებენ:

— საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების მიხედვით — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით, საკავშირო ორგანოებში განხილული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებულ ვადაში;

— ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების მიხედვით — ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს აღმასკომის სამმართველოთა და განყოფილებათა მონაწილეობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით მიღებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით დაწესებულ ვადებში;

— სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების ბიუჯეტებისა და შინასაქალაქო რაიონების ბიუჯეტების პროექტების მიხედვით — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი აღნიშნული აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა მონაწილეობით შესაბამისი ზემდგომი საფინანსო ორგანოებისაგან მიღებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, აღმასკომების გადაწყეტილებებით დაწესებულ ვადებში.

3. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები წარუდგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონებისათვის განაწილებულ შემდეგ მონაცემებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით:

— შემოსავალ-გასავლის გაანგარიშებითი ბალანსების, შემოსავლის გეგმების, ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და მათი შედგენისას გათვალისწინებულ ძირითად საწარმოო მაჩვენებლებს, გაანგარიშებებს შემოსავალ-გასავლის ბალანსის ცალკეული მუხლების მიხედვით, აგრეთვე ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის საჭირო სხვა მონაცემებს;

— საბიუჯეტო დაწესებულებათა და ღონისძიებათა დასაფინანსებლად განკუთვნილი ასიგნებების გაანგარიშებებს, მაჩვენებლებს ამ დაწესებულებათა ქსელის, შტატებისა და კონტინგენტების მიხედვით.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო განიხილავს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მათ მიერ წარდგენილ გაანგარიშებებს, საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებს მათ და განსაზღვრავს:

— ბიუჯეტში გადასახდელთა და ბიუჯეტიდან ასიგნებათა ოდენობას თითოეული სამინისტროს (უწყების) მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქების და რაიონების შესაბამისად;

— ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების შემოსვლის, საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის (კონტინგენტის მიხედვით) და სხვა შემოსავლის გეგმებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების მიხედვით;

— საკონტროლო ციფრებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად მაჩვენებლების შემდეგი მოცულობით: შემოსავალ-გასავლის ნაკრები გამსხვილებული მაჩვენებლების მიხედვით, საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების ოდენობა (პროც.), მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციის ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციათა საცალო საქონელბრუნვის შესაბამისად, სალაროში არსებული საბრუნავი ნაღდი ფულისა და ლიმიტირებული ხარჯების თანხები (სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა შენახვის ხარჯები, საბიუჯეტო დაწესებულებათა ხელფასის ფონდი და სხვ.).

5. შემუშავებულ საკონტროლო ციფრებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო დაუგზავნის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მის მიერ დაწესებულ ვადაში.

აღნიშნული ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრებთან ერთად ეცნობებათ საკონტროლო ციფრების განსაზღვრისას გათვალისწინებული შემდეგი გაანგარიშებითი მაჩვენებლები:

— რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციათა შემოსავალ-გასავლის გაანგარიშებითი ბალანსები და ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები დარგების მიხედვით;

— სოფლის მეურნეობისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ხარჯების ნაკრებები, ქსელი, შტატები და კონტინგენტები წლის დამდეგისა და დამლევისათვის და ცალკეულ ღონისძიებათა ხარჯების საშუალო-წლიური ნორმები.

6. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, მიიღებენ რა საკონტროლო ციფრებს, შეუდგებიან მუშაობას შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შესადგენად.

ამ მიზნით ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი გააანალიზებენ დაწესებულ საკონტროლო ციფრებს შესაბამისი ბიუჯეტის პროექტის შესადგენად, რისთვისაც გამოიყენებენ მათთან არსებულ საგეგმო და საანგარიშგებო მაჩვენებლებს ბიუჯეტის მიხედვით და მოახსენებენ თავიანთ წინადადებებს საკონტროლო ციფრების გამო ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომებს, რომლებიც განიხილავენ საკონტროლო ციფრებს და წინადადებებს მათ გამო და მიიღებენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

7. ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაუგზავნიან მათ მიერ შედგენილ საკონტროლო ციფრებს ავტონომიური რესპუბლიკების

მუხ. 63
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათანადო სამინისტროებს, უწყებებს, აღმასკომების სამმართველოებსა და განყოფილებებს კუთვნილებისამებრ.

8. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომების სამმართველოები და განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ დაწესებულ ვადებში:

შეიმუშავებენ და წარუდგენენ შესაბამის საფინანსო ორგანოებს საფინანსო გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და შემოსავლის გეგმების პროექტებს უშუალოდ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ცალკეული ქალაქებისა და რაიონების, შინასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრების შემუშავებისათვის საჭირო გაანგარიშებებს;

— იმ შემთხვევაში, თუ აქვთ შენიშვნები საკონტროლო ციფრების გამო, აცნობებენ მათ ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს კუთვნილებისამებრ საჭირო გაანგარიშებებითა და დასაბუთებებითურთ.

9. ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, აღმასკომების სამმართველოებისა და განყოფილებების წარმომადგენელთა მონაწილეობით:

— განიხილავენ მათ შენიშვნებს საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებული საკონტროლო ციფრების გამო და განაზოგადებენ მათ;

— განიხილავენ მათ მიერ წარდგენილ გაანგარიშებებს უშუალოდ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების პროექტების მიხედვით, აგრეთვე შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების, შინასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრების შემუშავებისათვის საჭირო გაანგარიშებებს, შეიტანენ სათანადო დაზუსტებებს ამ გაანგარიშებებში და ჩამოაყალიბებენ უშუალოდ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული ბიუჯეტების პროექტებს და საკონტროლო ციფრებს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების, შინასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ამ დებულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, შინასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მითითებების შესაბამისად შემუშავებულ საკონტროლო ციფრებს, აგრეთვე ამ საკონტროლო ციფრების განსაზღვრისას გათვალისწინებულ გაანგარიშებით მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები დაუგზავნიან კუთვნილებისამებრ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით დაწესებულ ვადებში.

11. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები, მიიღებენ რა საკონტროლო ციფრებს შესაბამისი ზემდგომი საფინანსო ორგანოებისაგან (ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებისაგან, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებისაგან), განიხილავენ მათ და შეუდგებიან მუშაობას თავიანთი ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრებისა და შესაბამისი ბიუჯეტების მიხედვით მათთან არსებული საგეგმო და საანგარიშგებო მონაცემების თანახმად.

12. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, სოფლებისა და დაბების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შედგენისას შეუძლიათ დაუშვან გადახრები საკონტროლო ციფრებისაგან.

იმ შემთხვევებში, როცა საკონტროლო ციფრებისაგან გადახრები დაკავშირებულია სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადების ანარიცხების თანხისა და ოდენობის (პროც.), ლიმიტირებული ხარჯების გადიდებასთან და სხვ., ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სოფლებისა და დაბების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები წარუდგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს კუთვნილებისამებრ თავიანთ შენიშვნებს საკონტროლო ციფრების გამო შესაბამისი გაანგარიშებებისა და დასაბუთებების თანდართვით საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ დაწესებულ ვადებში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულ ვადებში განიხილავენ ამ შენიშვნებს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, სოფლებისა და დაბების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით და მიიღებენ გადაწყვეტილებას მათ გამო.

შენიშვნებს, რომლებზეც მიღწეული არ არის შეთანხმება, განიხილავენ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

13. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მას შემდეგ, რაც მიიღებენ შესაბამისად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსაგან, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებისაგან, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებისაგან, ხოლო რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სოფლებისა და დაბების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს — რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებისაგან მათი შენიშვნების განხილვის შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ამ საკითხებზე მიმართონ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს სათანადო დაწვრილებითი გაანგარიშებების თანდართვით.

14. ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, რაიონული, საქალაქო ბიუჯეტის პროექტის და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად შემუშავებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, მათ გამო შენიშვნების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, შეადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, შესაბამისი რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტები განიხილება და მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო საკონტროლო ციფრების საფუძველზე, მათ გამო შენიშვნების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, შედგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე შეადგენს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარმოუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. ფორმებს საკონტროლო ციფრებისა და გაანგარიშებითი მაჩვენებლებისათვის შეიმუშავებენ, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი.

---

## 64 საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების (საქწყალმაშველი) მოქმედი წესდების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 დეკემბრის № 641 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების მოქმედი წესდების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდების მე-16 და მე-18 პუნქტების პირველ აბზაცებში ციფრი „4" შეიცვალოს ციფრით „5".

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდების 22-ე პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „... ორ წელიწადში ერთხელ მაინც" შეიცვალოს სიტყვებით: „ხუთ წელიწადში ორჯერ მაინც".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 24 აგვისტო, № 557

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 1978 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XI-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 3 სააღრიცხვო თაბახი 3

შეკვეთა № 850 უე 04155 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 19/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა